ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 ნოემბერი, კვირა, 1988 წ.
№ 222 (9889) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## დღეს ნომერშია:

⊙ ნანა იოსელიანი თბილისშია (1 გვ.)

⊙ ფიზკულტურის გაკვეთილები ტექნიკუმშიც ცდება (მე-2 გვ.)

⊙ რატომ შეიყვარეს ფეხბურთი ამერიკელებმა? (მე-3 გვ.)

⊙ შეიქმნა ბილიარდის ფედერაცია (მე-4 გვ.)

⊙ დოპინგის საწინააღმდეგო კამპანია გრძელდება. (მე-4 გვ.)



პასუხი „ლელოს" მკითხველებს

# რატომ არ გაემგზავრა ოლიმპიადაზე ნანა იოსელიანი

**მას** შემდეგ, რაც საბერძნეთის ქალაქ სალონიკში საჭადრაკო ოლიმპიადა დაიწყო, წუთით არა აქვს მოსვენება რედაქციის ტელეფონებს (და არა მარტო „ლელოს" რედაქციისას!). ყველა ჭადრაკის გულშემატკივარს ერთი კითხვა არ ასვენებს — რატომ არ გაემგზავრა ოლიმპიადაზე ნანა იოსელიანი? საქმე ისაა, რომ საბჭოთა ქალთა ნაკრები გუნდის პირველ-მეორე დაფებზე მსოფლიო ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძესა და ამ წოდების ამასწინანდელ პრეტენდენტს ნანა იოსელიანს უნდა ეთამაშათ. სწორედ ამან გამოიწვია გულშემატკივართა შეშფოთება — თუ პრესა და ტელევიზია ერთსულოვნად აცხადებს, რომ გუნდის შემადგენლობაში დასახელებულია იოსელიანი, მაშ რატომ არ გაემგზავრა იგი ოლიმპიადაზე?! შეგახსენებთ, რომ „ლელომ" თავიდანვე (№ 216, 12 ნოემბერი) სწორი ინფორმაცია მიაწოდა მკითხველს. იმ ნომერში გუნდის შემადგენლობა სწორადაა დასახელებული: ჩიბურდანიძე, ახმილოვსკაია, ლევიტინა, ლიტინსკაია.

ახლა ის გავარკვიოთ, მართლაც რატომ არ გაემგზავრა ნანა იოსელიანი ოლიმპიადაზე. ჩვენ ჯერ კიდევ თელავში, ჩიბურდანიძე—იოსელიანის მატჩის დახურვის დღეს, შემდეგაც, თბილისში, რამდენჯერმე შევხვდით ნანა იოსელიანს. დიდოსტატი ერთსა და იმავეს იმეორებდა — მატჩმა ძალიან გადამღალა და შეგნებულად ვთქვი უარი სალონიკში გამგზავრებაზეო.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ, დუბაის ოლიმპიადაზე დამარცხებას ძლივს გადაურჩა საბჭოთა ვაჟთა ნაკრები გუნდი და თითქმის ყველა სპეციალისტი იმას აცხადებდა, ერთმანეთთან ნათამაშევი მსოფლიო პირველობის მატჩით გადაღლილ კასპაროვისა და კარპოვისთვის ოლიმპიადაზე წასვლა არ უნდა დაგვეძალებინაო.

უფრო ახალი მაგალითი. „ლელოს" საჭადრაკო დამატება „მერანის" 4 ნოემბრის ნომერში მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვთან გამოქვეყნებულ ინტერვიუში ერთი ასეთი შეკითხვაა: როგორც კი დამთავრდება ქალთა მსოფლიო პირველობის მატჩი, ოლიმპიადა დაიწყება. თქვენი გამოცდილებით მიზანშეწონილია თუ არა მაია ჩიბურდანიძისა და ნანა იოსელიანის მონაწილეობა ოლიმპიადაში? მსოფლიო ჩემპიონმა ამ კითხვას ასე უპასუხა:

„ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ისურვებენ თუ არა თვითონ მაია და ნანა ოლიმპიადაში მონაწილეობას. თუ მათ ექნებათ თამაშის სურვილი, მატჩმა ხელი არც ერთს არ უნდა შეუშალოს — იმის მიუხედავად, როგორ დამთავრდება იგი, რადგან გამარჯვებული, რომელიც აღმავლობას განიცდის, ჩვეულებრივ, მომდევნო ტურნირებსაც კარგად თამაშობს, ხოლო დამარცხებული ცდილობს დაამტკიცოს თავისი სიძლიერე.

მე ვთვლი, რომ თუ რომელიმე მონაწილეს არ ექნება ოლიმპიადაზე გამგზავრებისა და თამაშის სურვილი, არ არის საჭირო ძალის დატანება, რადგან ჩვენს ქალთა გუნდს, როგორი შემადგენლობითაც უნდა გამოვიდეს, გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეს. მათი სერიოზული მეტოქე მე ჯერ არ მეგულება".

**დავით ჭელიძე.**

რესპუბლიკის ახალგაზრდული IV სპორტული თამაშები

# გაგრაში, იპოდრომზე...

**დღეს,** გაგრაში დამთავრდება რესპუბლიკის IV ახალგაზრდული სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში. თავიდან უამინდობამ ხელი შეუშალა მოასპარეზეებს, მაგრამ შემდეგ გამოიდარა და მხედრებს შეჯიბრების ნორმალურად გაგრძელების შესაძლებლობა მიეცათ. პროგრამაშია ცხენის გაწვრთნა, სამჭიდი და დაბრკოლებათა გადალახვა.

გუშინ გაგრიდან გვაცნობეს, რომ ცხენის გაწვრთნაში („საშუალო პრიზი") რესპუბლიკის ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონის სახელი მოიპოვა სსრ კავშირის სპორტის ოსტატმა, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტმა ოქსანა მიკსელმა.

**სურათზე: ო. მიკსელი.**

# სალონიკის საჭადრაკო ოლიმპიადაზე

**სალონიკი** (საბერძნეთი). V ტურში საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრები ამარცხებს ისლანდიელებს — 2:1 (1 პარტია გადადებულია). ქალთა გუნდი კი ჯერჯერობით აგებს უნგრეთის ნაკრებთან — 0,5:1,5 (ერთი პარტია გადაიდო).

გაგაცნობთ ვაჟთა და ქალთა გუნდების ზოგიერთი სხვა შეხვედრის შედეგებს.

**ვაჟები:** უნგრეთი—ბულგარეთი — 2,5:1,5, ჩეხოსლოვაკია — ჰოლანდია — 1,5:2,5, ინდონეზია — კუბა — 1,5:1,5 (1), დანია — შვეცია 1:3, რუმინეთი — ინგლისი — 1:3, გდრ — ფილიპინები—2:1 (1), გფრ — ბელგია — 3:1, ავსტრია — ფარერის კუნძულები — 4:0.

5 ტურის შემდეგ 16 ქულით და ერთი გადადებული პარტიით ერთპიროვნულად ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები. მათ 14,5-14,5 ქულით კვალში მიჰყვებიან უნგრეთის, ჰოლანდიის, ინგლისისა და შვეციის ნაკრები გუნდები.

**ქალები:** გფრ — საბერძნეთი — 1,5:1,5, პოლონეთი — ჩინეთი — 1:2, კუბა — ბულგარეთი — 2,5:0,5, აშშ — ავსტრია — 2:1.

აქ 5 ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: უნგრეთი — 12 (1 გადადებული პარტია), საბჭოთა კავშირი — 11,5 (1), ჩინეთი — 11,5, კუბა — 11, გფრ, პოლონეთი — 10,5-10,5.

# სეზონის პირველი სტარტი

**ნოემბრის** შუა რიცხვებში ლატვიის ქალაქ სიგულდაში შეიკრიბნენ ქვეყნის უძლიერესი მოციგავეები. ეს იყო მათი ტრადიციული პირველობის პირველი სტარტი ამ სეზონში (ასპარეზობაზე დაუშვეს სხვადასხვა სპორტსაზოგადოებების წარმომადგენლები გასული სეზონის შედეგების მიხედვით).

მოასპარეზეთა შორის გამოდიოდნენ 18 წლის ბაკურიანელი სპორტსმენებიც — **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის** ეკონომიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტები, ოსტატობის კანდიდატები ლევან თიბილოვი და კახა ვახტანგიშვილი, (ასკ, თბილისი), რომლებსაც სპორტის ოსტატი თამაზ ქუმარიტაშვილი ავარჯიშებს.

ქართველმა სპორტსმენებმა ორადგილიანი ციგებით შეჯიბრებაში 17 წყვილს შორის მეოთხე შედეგი აჩვენეს, ამავე დროს, ეს იყო საუკეთესო მაჩვენებელი ახალგაზრდა ეკიპაჟებში. აღსანიშნავია, რომ სიგულდას სტარტი ერთდროულად შერჩევითი შეჯიბრება იყო ევროპის ახალგაზრდული პირველობის წინ.

— კიდევ რა სტარტები გელით უახლოეს პერიოდში — ვკითხეთ თ. ქუმარიტაშვილს.

— დეკემბრის ბოლოს იქვე, სიგულდაში გაიმართება სსრ კავშირის თასის გათამაშება, იანვარში ავსტრიაში ევროპის ახალგაზრდული პირველობაა, თებერვლის დამდეგს სიგულდა მესამედ უმასპინძლებს ქვეყნის უძლიერეს მოციგავეებს, თებერვლის ბოლოს კი ჩუსოვაიაში (პერმის ოლქი) ჩვენი სპორტსმენები ისპარეზებენ ახალგაზრდულ საკავშირო თამაშებში.

**„ლელოს" კორ.**

## შაში ⊙ სსრ კავშირის ჩემპიონატი

**სსრ კავშირის** 35-ე ჩემპიონატის I ლიგის მოშაშეთა შეჯიბრების VII ტურში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა თ. რეხვიაშვილმა (იგი ჯ. ბერიშვილის ნაცვლად თამაშობს ამ უკანასკნელის ავადმყოფობის გამო) ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ხარკოველ — ვ. კოლესნიკთან.

7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: კოლესნიკი, შვარცმანი — 5-5 ქულა, კიპესი — 4,5 (1), შჩეგოლევი — 4,5, პრესმანი, ვატუტინი — 4-4.

# +1 ნორჩების სამსახურში

რუხის კოლმეურნეობის კეთილმოწყობილ სპორტულ კომპლექსში საზეიმოდ გაიხსნა სპორტული სკოლა, რომელშიც მძლეოსნობის, თავისუფალი ჭიდაობის და ფეხბურთის ჯგუფებში 180 მოსწავლე იმეცადინებს.

გაიმართა საჩვენებელი გამოსვლები მძლეოსნობაში, ამხანაგური შეხვედრა ზუგდიდის „დინამოს" მოსამზადებელი ჯგუფის მოზარდ ფეხბურთელებსა და რუხის სპორტული სკოლის გუნდებს შორის.

გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ ქების სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

**გ. ალშიბაია.**
**(„ლელოს" კორესპონდენტი).**
ქ. ზუგდიდი.



# კარგი ლონისძიების ცუდი დასაწყისი

**გუშინ,** თბილისში, კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში დაიწყო ქართულ ჭიდაობაში სოფლებისა და ქალაქების უბნების რესპუბლიკური ფინალური ასპარეზობა საქართველოს ალკკ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. სამწუხაროდ, შეჯიბრება გააუფერულა იმან, რომ სრული გუნდები არ გამოიყვანეს თბილისის ლენინის, ლაგოდეხისა და სიღნაღის რაიონებმა.

ქარელის რაიონს ლაგოდეხის რაიონთან ჩაეთვალა გამარჯვება — 9:0. ასეთივე ანგარიშით უბრძოლველად გამარჯვება მიენიჭა მცხეთის რაიონს თბილისის ლენინის რაიონის გუნდთან. კასპის რაიონის ზემო ხანდაკის ფალავნებმა 6:3 დაამარცხეს სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოს მოჭიდავეები.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

საგანგაშო ფაქტი

# არჩევანში ისევ შევცდით

ამ რუბრიკით ეს უკვე მესამე წერილით გამოვდივართ. გახსოვთ, „ლელოს" წინა ორ ნომერში თბილისის 54-ე და 55-ე საშუალო სკოლებში გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ გიამბეთ. გავიმეორებთ, ამ სკოლებს მხოლოდ იმიტომ მივაკითხეთ, რომ გამართული მუშაობით სამაგალითოდ გვესახებოდა. ახლა გადავწყვიტეთ თბილისის რომელიმე ტექნიკუმს ვწვეოდით. ბევრგან, იცით, ტექნიკუმებს არ გააჩნიათ მატერიალურ-სპორტული ბაზა, ამიტომ ვრცელ სიაში ინდუსტრიულ-პედაგოგიურ ტექნიკუმზე (დირექტორი რევაზ მერკვილაძე) შევაჩერეთ არჩევანი. ეს ნაგებობა, როგორც ამბობენ, თანამედროვე მოთხოვნებს ყოველმხრივ უპასუხებს და საუკეთესოდ მიიჩნევენ მთელს ამიერკავკასიაში. სამწუხაროდ, ამ სასწავლებელშიც კი, რომელიც ყველას სანიმუშო სასწავლებლად მიაჩნია, ალმაშფოთებელ ფაქტს წავაწყდით. გუშინ, თუმცა მეცადინეობა 22 წუთის დაწყებული იყო, 207-ე ჯგუფში ფიზკულტურის გაკვეთილი არ ტარდებოდა, დარბაზის შესასვლელთან რამდენიმე მოსწავლე იდგა და მათგან მხოლოდ ერთი გოგონა იყო სპორტული ფორმით. 12 მოსწავლე საერთოდ არ გამოცხადდა გაკვეთილზე. დარბაზში სამ ადგილზე წყალი ჩამოდის, ცივა (გათბობა შენობაში საერთოდ არ არის). ახალი სასწავლო წელი სადაცაა ორ თვეს მიითვლის, აქ ჯერაც არაა მოწესრიგებული საჭიდაო დარბაზი. (რემონტი გაგრძელდა). როგორც გვითხრეს, ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ფიზკულტურის გაკვეთილი ჩაიშალა.

ტექნიკუმის შესასვლელში ყურადღებას იქცევს გემოვნებით და ძვირფასი მასალით დამზადებული „სოციალისტური შეჯიბრების ეკრანი", სადაც ფიზკულტურასა და სპორტს სამი პუნქტი ეთმობა. შესანიშნავია, მაგრამ ვის რაში ესაჭიროება ასეთი ფორმალობა? შეჯიბრებებში მონაწილეობა სხვაა და საპროგრამო-სასწავლო მუშაობა კიდევ სხვა. ვის ვატყუებთ?

ერთხელ კიდევ გვინდა გავიმეოროთ, რომ მიზეზი, რაგინდ ხელშესახები უნდა იყოს იგი, არავითარ შემთხვევაში არ გამოდგება ტექნიკუმში ფიზიკური აღზრდის ჩაშლის გამართლების საბუთად. ვინ და რატომ მიიყვანა აქამდე საქმე, ვინ არის კონკრეტული დამნაშავე, როგორც თვით ტექნიკუმში, ისე მის ფარგლებს გარეთ?

რედაქცია ამ კითხვაზე პასუხს ელოდება.

# ნურც ამას დავუკარგავთ

მკითხველს, ალბათ, ახსოვს, როცა ჭაბუკთა II საკავშირო სპორტულ თამაშებში საქართველოს წარმომადგენელთა გამოსვლებზე ინფორმაციებს ვაქვეყნებდით, უყურადღებოდ არც წყალბურთელთა პაექრობა დაგვრჩენია.

სამწუხაროდ, მაშინ ჩვენს გუნდში ერთი ინციდენტი მოხდა. ამაზეც ვწერდით. მოკლედ შეგახსენებთ: ფინალურ შეხვედრაში ჩვენმა გუნდმა პენალტი ვერ გამოიყენა, მატჩი 1 ბურთის სხვაობით წააგო და ამის გამო შეხვედრის შემდეგ საქართველოს ნაკრების წევრების ერთმანეთში დავა ჩხუბში გადაიზარდა. საბედნიეროდ, ინციდენტი მალე შეწყდა.

შემდეგ, თბილისში რომ დაბრუნდნენ, ამ ინციდენტის შესახებ საქართველოს წყალბურთელთა ფედერაციის სხდომაზე იმსჯელეს. ფედერაციამ ჩხუბისთავებსაც, გუნდის მწვრთნელებსაც და ნაკრების სხვა წევრებსაც სხვადასხვა სასჯელი გამოუტანა. ამის შესახებაც ვწერდით. ჩვენი პუბლიკაცია, ცხადია, ფედერაციის სხდომის გადაწყვეტილებას ემყარებოდა.

სამწუხაროდ, ირკვევა, რომ იმ ფედერაციის სხდომაზე დემოკრატიულობის პრინციპები ხელაღებით უარყვეს და არ მიიწვიეს წყალბურთელთა ნაკრების მწვრთნელები, რომლებსაც თავის მართლების საშუალება მიეცემოდათ. ამასთან, სხდომას არც ფედერაციის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და სხვა რამდენიმე წევრი ესწრებოდნენ. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ბ. მარგიევმა „ლელოს" რედაქციას მიმართა განცხადებით და განმარტა, რომ შეკითხვაზე, თუ რატომ ჩაატარეს ფედერაციის სხდომა ასე ტენდენციურად, სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა ჯ. თორთლაძემ და განყოფილების გამგემ გ. ცქიტიშვილმა განუმარტეს: ხელმძღვანელებმა რომ გვკითხონ, რა რეაგირება მოახდინეთ, საბუთი გვჭირდებაო. აქვე ვიტყვით, რომ ამ მუშაკებმა ფედერაციის სხდომაზე დაშვებული ფარისევლობისთვის სწორედ კომიტეტის ხელმძღვანელებისგან მიიღეს მკაცრი შენიშვნა.

არა, ჩვენ არავის ვამართლებთ, დანაშაულს სასჯელი უნდა მოჰყვეს, მაგრამ ვიდრე განაჩენს გამოვიტანდეთ, კაცს სიტყვის თქმის უფლება ხომ უნდა დავუტოვოთ. სხვაგვარად როგორ შეიძლება. წარმოიდგინეთ სასამართლო, რომელსაც ბრალდებული არ ესწრება და თავის დაცვის საშუალება არა აქვს. ისიც კარგადაა ცნობილი, რომ სასამართლოზე, განაჩენის გამოტანამდე, დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებას აუცილებლად ითვალისწინებენ და ამის შემდეგ გამოაქვთ დასკვნა.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში მკითხველს დანაშაული შევახსენეთ.

ახლა „შემამსუბუქებელი გარემოებანიც" გავიხსენოთ: ჭაბუკთა I საკავშირო თამაშებზე ჩვენმა წყალბურთელებმა V ადგილი დაიკავეს. II თამაშებში მესამე ადგილს ვუგმადნენ, მაგრამ უფრო დაწინაურდნენ და ვარიანტის მედ-[illegible] „ფურცხლის" ელვარება დაუკარგა, მაგრამ...

ახლა გუნდის მწვრთნელები ბ. მარგიევი და ვ. ბიბილური საყვედურს გამოთქვამენ: ინციდენტისთვის, კი ბატონო, გაკიცხვის ღირსნი ვართ, მაგრამ სხვა ბრალდებებს, თითქოს ვარჯიშებს ვაცდენდით და მეცადინეობას არასწორად ვატარებდით, ამას მაინც ნუ დაგვწამებენ, საქმეს ისეთ მუქ ფერებში ნუ დახატავენ, თითქოს მუშაობა ჩავშალეთ და არაფერს ვაკეთებდით. ასე რომ ყოფილიყო, ვერცხლის მედლებს როგორღა მოვიპოვებდით...

მართლაც, გაკიცხვასთან ერთად რატომ უნდა დავუკარგოთ მწვრთნელებს დამსახურება?

ფედერაციაზე ნაჩქარევად და არაობიექტურად გამოტანილი დასკვნები ვერც სპორტს გაუწევს კარგ სამსახურს და ვერც მის მუშაკებს. ეს შემთხვევა ყველასთვის სამაგალითო უნდა იყოს.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

### „განახლებული გუნდით"

„ლელოს" 3 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „განახლებული გუნდით", ჩვენი მისამართით გამოთქმული კრიტიკა ძირითადად მისაღებია.

ამასთან გაცნობებთ, რომ ხელბურთში I ლიგის გუნდებს შორის საკავშირო პირველობის მატჩები კალენდარში გათვალისწინებული არაა იმ მიზეზით, რომ ის შედგენილი და დამტკიცებულია გასულ წელს, როცა გუნდი ჯერ კიდევ უმაღლეს ლიგაში იმყოფებოდა. რაც შეეხება კონკრეტულად საკავშირო პირველობის I ტურს პირველი ლიგის გუნდებს შორის, თბილისში მისი ჩატარება გადაწყდა მას შემდეგ, რაც გაზეთმა „ლელომ" უკვე გამოაქვეყნა ოქტომბრის კალენდარი (ტურები ტარდება დანიშნულებისამებრ).

აღნიშნულ მასალაში ლაპარაკი იყო მაყურებელთა დასწრებაზეც: ბუნებრივია, ვინ თუ არა ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სკოლისა და პროფკავშირების ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელები უნდა ესწრებოდნენ საკავშირო პირველობის მატჩებს? ვთვლით, რომ ამის შეხსენება აღნიშნულ სკოლათა ხელმძღვანელებს არ უნდა სჭირდებოდეთ, მით უმეტეს, რომ ტურნირის მონაწილენი ცხოვრობდნენ ხელბურთის ოლიმპიური რეზერვის სკოლის საერთო საცხოვრებელში, ხოლო შეჯიბრება ტარდებოდა სპორტულ კომპლექსში, სადაც ტერიტორიულად განლაგებულია პროფკავშირული ხელბურთის სკოლა.

რაც შეეხება აფიშებს, ისინი, როგორც წერილში იყო აღნიშნული, დამზადდა, დროულად გაეგზავნა სარეკლამო ბიუროს, თუმცა, როგორც გაირკვა, არის შემთხვევები, როდესაც აფიშები საერთოდ არ აღწევს სარეკლამო ბიუროს სტუდენტებამდე ან მეორე დღესვე იფარებიან ზემოდან სხვა აფიშებით. ამის თაობაზე საქსპორტუზრუნველყოფის სამმართველო მიიღებს შესაბამის ზომებს.

**ჯ. ბაგრატიონი,**
სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე.

## მოკლედ

**წყალტუბოს** საკონცერტო დარბაზ „ივერიაში" ჩატარდა რესპუბლიკური საჭადრაკო ფესტივალი „წყალტუბო-88".

ვაჟებს შორის 18 შესაძლებლიდან 17-17 ქულით I-II ადგილები გაიყვეს წყალტუბოელმა ოსტატობის კანდიდატმა იმედა სულაბერიძემ და ქუთაისელმა ალეკო არსანიძემ. უკეთესი კოეფიციენტის გამო I ადგილი სულაბერიძეს მიეკუთვნა. III ადგილზეა სევერიანე კოლუაშვილი (წყალტუბო, 15 ქულა).

გოგონებში I-II ადგილები გაიყვეს ქუთაისელმა მარინა ვასილცევამ და წყალტუბოელმა მაკა მდივანმა. III ადგილიც მასპინძელ ფიქრია კართაძეს ხვდა წილად.

**მ. მიქაბერიძე.**

# ოლიმპიადის მატიანე

## კლასიკური ჭიდაობა

**48 კგ**
1. ვინჩენცო მაენცა (იტალია)
2. ანჯეი გლომბი (პოლონეთი)
3. ბარბან ცენოვი (ბულგარეთი)
4. მაგიატდინ ალახვერდიევი (სსრკ)
5. სალებ ალფარაჯი (სირია)
6. მარკუს შერერი (გფრ)

**52 კგ**
1. იონ რიონინგენი (ნორვეგია)
2. აცუძი მიახარა (იაპონია)
3. ლი ჩე სუკი (სამხრეთ კორეა)
4. ალექსანდრ იგნატენკო (სსრკ)
5. რომან კერპაჩი (პოლონეთი)
6. ტოგორ იანკოვიჩი (ჩეხოსლოვაკია)

**57 კგ**
1. ანდრაშ შიკე (უნგრეთი)
2. სტოიან ბალოვი (ბულგარეთი)
3. ხარლამბოს ხოლიდისი (საბერძნეთი)
4. იან ჩანლინი (ჩინეთი)
5. ხუ ბიუნ ხო (სამხრეთ კორეა)
6. გაზიფ სალახი (ერაყი)

**62 კგ**
1. კამანდარ მაჯიდოვი (სსრკ)
2. ჟივკო ვანგელოვი (ბულგარეთი)
3. ან დე ხიუნი (სამხრეთ კორეა)
4. იონე გოდი (უნგრეთი)
5. პიოტრ გელი (გფრ)
6. ისააკ ანდერსონი (აშშ)

**68 კგ**
1. ლევონ ჯულფალაკიანი (სსრკ)
2. კიმ სუნ მუნი (სამხრეთ კორეა)
3. ტაპო სიპილია (ფინეთი)
4. პეტრიკა კარარე (რუმინეთი)
5. ეჟი კოპანსკი (პოლონეთი)
6. იასუხირო ოკუბო (იაპონია)

**74 კგ**
1. კიმ იუნ ნამი (სამხრეთ კორეა)
2. დაულეტ ტურლიხანოვი (სსრკ)
3. იუზეფ ტრაჩი (პოლონეთი)
4. იანოშ ტაკაჩი (უნგრეთი)
5. მარტიალ მიშლე (საფრანგეთი)
6. ბორისლავ ველიჩკოვი (ბულგარეთი)

**82 კგ**
1. მიხეილ მამიაშვილი (სსრკ)
2. ტიბორ კომაროვი (უნგრეთი)
3. კიმ სან კიუ (სამხრეთ კორეა)
4. სტიგ არილდ კლევენი (ნორვეგია)
5. ზორან კასუმი (იუგოსლავია)
6. მაგნუს ფრედრიკსონი (შვეცია)

**90 კგ**
1. ათანას კომშევი (ბულგარეთი)
2. ხარი კოსკელა (ფინეთი)
3. ვლადიმირ პოპოვი (სსრკ)
4. კრისტერ გულდენი (შვეცია)
5. ანდრეას შტაინბახი (გფრ)
6. ფრანც პიჩმანი (ავსტრია)

**100 კგ**
1. ანჯეი ვრონსკი (პოლონეთი)
2. გერხარდ ხიმელი (გფრ)
3. დენის კოზლოვსკი (აშშ)
4. ილია გეორგიევი (ბულგარეთი)
5. იოზეფ ტერტეი (იუგოსლავია)
6. იუ იუნ ტე (სამხრეთ კორეა)
7. გურამ გედეხაური (სსრკ)
8. ტამაშ გაშპარი (უნგრეთი)



100 კგ წონით კატეგორიაში სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა თბილისელი გურამ გედეხაური. პირველ წრეში გურამი დამარცხდა რუმინელ ვასილე ანდრეისთან — 1:3; მეორე წრეში ჩვენი ფალავანი ისვენებდა; მესამე წრეში გედეხაური წმინდად (3 წუთსა და 16 წამში) ამარცხებს პოლონელ ანჯეი ვრონსკის; შემდეგ წრეში ქულებით უგებს ამერიკელ დენის კოზლოვსკის — 3:1, მეხუთე წრეში გედეხაური მარცხდება იოზეფ ტერტეისთან (იუგოსლავია) და საბოლოოდ დაკარგა საპრიზო ადგილზე გასვლის იმედი. მეშვიდე ადგილისთვის ბრძოლაში კი გედეხაურმა აჯობა უნგრელ ტამაშ გაშპარს, რომელმაც ტრავმა მიიღო.

**130 კგ.**
1. ალექსანდრ კარელინი (სსრკ)
2. რანგელ გეროვსკი (ბულგარეთი)
3. ტომას იოჰანსონი (შვეცია)
4. ხასან ელხადადი (ეგვიპტე)
5. ლასლო კლაუზი (უნგრეთი)
6. კაძუია დეგუჩი (იაპონია).

პასუხი წერილზე, რომელიც რეაგირებისათვის რაიონში გადაიგზავნა

# სოფელს ექნება სტადიონი

**საქართველოს** კპ ზესტაფონის რაიკომი სოფელ ქვედა საქარაში მცხოვრებ ჰამლეტ საცერაძის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ გოგიაშვილების უბანში ფეხბურთის მოედნის მოსაწყობად ფართობი კვლავ გამოეყოთ ახალგაზრდებს. გარდა ამისა, მიმდებარე ტერიტორიაზე „ცენტრმეტალურგრემონტის" სპეციალიზებული სამშენებლო სამმართველო სოფლის ფეხბურთელთა გუნდისთვის, რომელიც რესპუბლიკის პირველობაზე ასპარეზობს, აწყობს სტანდარტული ტიპის ფეხბურთის სტადიონს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სოფლის ახალგაზრდებისთვისაც.

განცხადების ავტორს ამის შესახებ ეცნობა.

**ჯ. ბორბოძე,**
საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი.

საკავშირო პირველობა ხელბურთში ● I ლიგა

# კიდევ ოთხი ქულა

**ტალინში** ამასწინათ გაიმართა ვაჟ ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის (პირველი ლიგა) მეორე ტური. თბილისის „ბურევესტნიკმა" ორ-ორი შეხვედრა გამართა მოსკოვის „ისკრასთან" და ვორონეჟის „ხიმიკთან". ჩვენმა ხელბურთელებმა მოსკოველებთან მოიგეს პირველი მატჩი (20:18), მეორე კი წააგეს (14:16). ვორონეჟის გუნდთან „ბურევესტნიკმა" დაძაბულ ბრძოლაში, ერთი ბურთის სხვაობით დათმო პირველი მატჩი (21:22), ხოლო მეორეში გამარჯვებას მიაღწია ასევე ერთი ბურთით (17:16).

ამრიგად, ქართველმა ხელბურთელებმა პირველი ტურის ნადავლს 4 ქულა მიუმატეს და ახლა 14 ქულით მესამე ადგილზე იმყოფებიან. ამდენივე ქულა მოაგროვა ლვოვის ასკ-მაც, მაგრამ ვინაიდან მან წაგებული აქვს ბურევესტნიკელებთან პირადი შეხვედრები, გათამაშების ცხრილში ერთი ადგილით ქვემოთ მოთავსდა. პირველ ორ ადგილზე არიან, შესაბამისად, ვოლგოგრადის „კაუსტიკი" და დონეცკის „შახტიორი" (16-16 ქულა). მეხუთე ადგილზე 12 ქულით იმყოფება მოსკოვის „ისკრა".

მომდევნო, რიგით III ტური. 24-27 ნოემბერს გაიმართება ვოლგოგრადში, სადაც შეიკრიბებიან ადგილობრივი „კაუსტიკი", ტალინის „კოოპერატორი", ტაშკენტის „სტარტი" და თბილისის „ბურევესტნიკი".

ამის შემდეგ გაიმართება IV და V ტურის მატჩები, შესაბამისად, კიშინიოვსა (8-11 დეკემბერი) და თბილისში (21-25 დეკემბერი).

პირველი ლიგის გუნდების ასპარეზობა დამთავრდება თებერვალში, როდესაც გათამაშებაში პირველ ოთხ ადგილზე გასული გუნდები ორწრიან ტურნირში შეხვდებიან უმაღლეს ლიგაში ბოლო ოთხ ადგილზე გასულ გუნდებს. უძლიერესთა გათამაშებაში მომავალ სეზონში იასპარეზებს რვათა ასპარეზობაში გამოვლენილი საუკეთესო ოთხეული (ეს დასკვნითი შეჯიბრება ტურობრივი, მიმოსვლითი წესით გაიმართება, თითოეული გუნდი ჩაატარებს 14 თამაშს).

დასასრულს თბილისის „ბურევესტნიკის" მონაწილეობით კიდევ ერთი ასპარეზობის შესახებ: ესაა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე. იგი პირველად გაიმართება „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში 30 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე. როგორც ბურევესტნიკელთა გუნდის მწვრთნელებმა გიორგი ბერიაშვილმა და ალბერტ გასიევმა გვითხრეს, მასში მასპინძელთა გარდა გამოვლენ ესპანეთის, გფრ-ის, პოლონეთის, სსრ კავშირის პირველი და ახალგაზრდული გუნდები.

**ოთარ ოთარაშვილი.**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

გუშინ ჩვენი ქვეყნის ქალაქებში გაიმართა 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო, XXX ტურის შეხვედრები.

ხარკოვში „მეტალისტმა" თბილისის „დინამოს" უმასპინძლა. თამაში დამთავრდა ხარკოველთა გამარჯვებით — 2:0.

### სხვა მატჩები:

„შახტიორი" — „დინამო" მნ. 0:1

„სპარტაკი" — „ზენიტი" 1:1

„ჩერნომორეცი" — „ლოკომოტივი" 0:1

„დინამო" კ. — „ნეფთჩი" 2:1

„ტორპედო" — „არარატი" 2:0

„დინამო" მ. „კაირატი" 4:3

## სტატისტიკა, სტატისტიკა...

დამთავრდა I ლიგის საკავშირო გათამაშება ფეხბურთში. წლეულს იგი, როგორც არასდროს, გამოირჩეოდა თავისი დაძაბულობით, ჩემპიონატის ბოლო ტურამდე გაურკვეველი იყო იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც მომავალ წელს იასპარეზებენ უმაღლეს ლიგაში. გთავაზობთ წლევანდელი გათამაშების ზოგიერთ სტატისტიკურ მონაცემებს.

ლიგის ბომბარდირის პრიზი დაიმსახურა ვოლგოგრადის „როტორის" თავდამსხმელმა ა. ნიკიტინმა, რომელმაც 22 ბურთი გაიტანა. ასევე 22 ბურთი (1—პენალტით) გაიტანა დუშანბელმა მ. მუჰამედიევმა. არსებობს დებულება საუკეთესო ბომბარდირის გამოსავლენად. თანაბარი გატანილი ბურთების შემთხვევაში პრიზი გადაეცემა იმ ფეხბურთელს, რომელსაც გოლების უმეტესობა, უთერთმეტმეტრიანებოდ აქვს გატანილი. ლანჩხუთელმა ვ. ხლუსმა 21 გოლით მესამე ადგილი დაიკავა.

საკუთარ მოედანზე მეტოქის კარი ყველაზე მეტჯერ აიღეს მ. მუჰამედიევმა — 18, ა. ნიკიტინმა — 14, ა. მალიშენკომ — 14, ვ. ხლუსმა — 13, მ. ქორდანიამ — 13.

გასვლით მატჩებში კი: გ. მხითარიანმა — 10, ვ. კორნეევმა — 8, ა. ნიკიტინმა — 8, ვ. ხლუსმა — 8, ე. მილევსკიმ — 7.

წლევანდელ ჩემპიონატში იმ 7 ფეხბურთელს, პირველ ლიგაში 100-ზე მეტი ბურთი რომ ჰქონდათ გატანილი, კიდევ ორი შეემატა — რიგელი ე. მილევსკი — 102 და როსტოვის როსტსელმაშელი ს. ანდრეევი — 100.

ყველაზე მეტი გამარჯვება სამი და მეტი ბურთის სხვაობით მოიპოვეს ვოლგოგრადის „როტორმა" — 9, „პახტაკორმა" — 8, „პამირმა" და „გურიამ" — 7-7. ასევე დიდი ანგარიშით 7-ჯერ დამარცხდა „კოტაიკი". „კოტაიკის" მარცხი 0:7 საკუთარ მოედანზე ვოლგოგრადის „როტორთან" სარეკორდოა I ლიგაში, თუ გავითვალისწინებთ საკუთარ მინდორზე ჩატარებულ შეხვედრებს.

დასწრების მხრივ წლევანდელ სეზონში ლიდერია ტაშკენტის „პახტაკორი"—987 860 მაყურებელი, საშუალოდ მატჩზე 23520 (რაც მესამე შედეგია I ლიგის არსებობის მანძილზე).

ყველაზე მეტი დასწრება აღინიშნა „პახტაკორის" სტადიონზე — „როტორთან", „პამირთან" და ასკ როსტოვთან — 50 000 მაყურებელი.

ყველაზე ნაკლები მაყურებელი ჰყავდა „დაუგავასა" და „კოტაიკის" მატჩს — 280.

ლანჩხუთის „გურიას" მიერ გატანილი 71 ბურთი მოდის 11 ფეხბურთელის ანგარიშზე. 1. ვ. ხლუსი — 21, 2. მ. ქორდანია — 19 (4 პენალტით), 3. ზ. ფრიდონაშვილი — 8, 4. ს. იავორსკი — 6, 5. გ. გოგრიჭიანი — 4, 6. ლ. ბარათაშვილი — 3, 7. მ. აკოფიანი — 2, 8. ზ. გოგიჩაიშვილი — 2, 9. ო. კორძალიძე — 2, 10. მ. მესხი — 2, 11. ზ. ცაავა — 1.

1 ბურთი ვოლგოგრადელ კუზნეცოვის ავტოგოლი გახლავთ.

**პაატა ცაგარეიშვილი.**

# ფეხბურთი — ამერიკელთა ამერიკული გატაცება

გასაკვირი კია, რატომ შეუყვარდათ ფეხბურთი ამერიკელებს ასე უცბად, ასე მოულოდნელად? ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოს მეთხუთმეტე ჩემპიონატის (1994 წელი) ჩატარების უფლება ამ ქვეყანამ პირველსავე ცდაზე, თითქმის ერთხმად მიიღო. ასეთ „ოპერატიულობას" ბევრი წმინდა „საფეხბურთო ქვეყანა" ინატრებდა, თუმცა წილისყრით ამერიკელთა გამარჯვებას საფუძველი ჰქონდა, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ისე კი, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ფეხბურთი შტატებში მთლად უცბად არ გავრცელებულა. ამერიკელები დიდი ხანია პატივს სცემენ და ხარკსაც უხდიან მას, ოღონდ — საკუთარს, ყველასაგან განსხვავებულს, წმინდა ამერიკულს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ნამდვილ (ევროპულ) ფეხბურთთან.

მაშ რატომ შეიწუხეს, რატომ დაიტვირთეს ასე ძლიერ თავი შტატებში? ამერიკელებს უანგარო სიყვარული არ სწამთ, ევროპის ფეხბურთმა კი, როგორც თამაშმა და როგორც სანახაობამ, კარგახანს ვერ მოიკიდა ფეხი ამ ქვეყანაში. მაგრამ მას ერთი დიდი უპირატესობა აღმოაჩნდა, რაც პრაქტიკულ ამერიკელებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ. ევროპის ფეხბურთს მილიარდიანი აუდიტორია ჰყავს, სუპერციფრები კი ამ ქვეყანაში დიდად ფასობს.

მილიარდიანი აუდიტორია — ეს არის მილიარდი ტელემაყურებელი და ათიათასობით სტადიონზე მოსული გულშემატკივარი. ანუ თავისებური კომერციული სამოთხე. ის ამერიკელი, რომელსაც არაფერი გაეგება სპორტისა, მაგრამ კარგად არის გათვითცნობიერებული ბიზნესის საკითხებში, ცხადია, ახალ ელდორადოზე უარს ვერ იტყოდა. მაგრამ ხომ არ შეიძლება მსოფლიო ჩემპიონატი ჩამოსული სტუმრებისა და მილიონობით ტელემაყურებლის ანაბარა დატოვო? შენიანებსაც ხომ უნდა გაუწიო ანგარიში, რომელთა დანაზოგის ნაწილს პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ ტურნირის ორგანიზაცია უსათუოდ შეიწირავს?

ამერიკელებმა თავის დროზე, ცხადია, ამაზეც იფიქრეს და ჯერ კიდევ 1966 წელს ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი კინოფილმი შეიძინეს. ფილმის დემონსტრაციამ მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ მალე შეიქმნა სკანდალურად გახმაურებული ორგანიზაცია — ჩრდილოეთ ამერიკული საფეხბურთო ლიგა (ნასლ), რომელმაც სულ ახლახან ტრაგიკულად დაამთავრა არსებობა — გაკოტრდა და დაიშალა.

მაგრამ ჩრდილოეთამერიკულმა ლიგამ გარკვეული კვალი მაინც დატოვა. ყოველ შემთხვევაში, ამერიკელებს დღემდე კეთილ მოგონებად გამოჰყვათ 17 წლის მანძილზე ამ ლიგის გუნდებში პელეს, ბეკენბაუერის, კრუიფის, მიულერის, ნეესკენსის, კარლოს ალბერტოსა და სხვა ვარსკვლავთა თამაში.

გაუქმებული ლიგისგან დარჩა მხოლოდ შენობა, საქმიანი ქაღალდები და ვალი — 600 მილიონი დოლარი. შტატებში გაკოტრებული ორგანიზაცია იშვიათი რამ არ არის, მაგრამ ხშირად ერთი უიღბლო წამოწყების ნანგრევებზე მეორე, უფრო პრაქტიკული და ბრძოლისუნარიანი იწყებს ცხოვრებას. ჩრდილოეთამერიკული ლიგა შეცვალა სტუდენტთა ეროვნულმა ათლეტურმა ასოციაციამ (ნკაა). ფეხბურთის მომავალი ამერიკაში სწორედ ამ და სხვა მსგავს ორგანიზაციათა უნარიან საქმიანობას დაუკავშირდა.

...მაინც რა მოხდა ციურიხში, სადაც 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის ბედი წყდებოდა? მოკლე საგაზეთო ინფორმაციებიდან მხოლოდ ის გავიგეთ, რომ საერთაშორისო ფედერაციის სხდომაზე ამ უფლებისთვის სამი ქვეყანა იბრძოდა — ბრაზილია, ამერიკის შეერთებული შტატები და მაროკო, ისიც, რომ წილისყრის მონაწილე ფედერაციის აღმასკომის ცხრამეტ წევრში ბრაზილიას ხმა მისცა მხოლოდ ორმა დელეგატმა, მაროკოს — შვიდმა, შეერთებულ შტატებს კი — ათმა. ეს ნამდვილი სენსაცია იყო: ფეხბურთის კლასიკური ქვეყანა ბრაზილია დამარცხდა არა მხოლოდ შტატებთან (ერთი ბრაზილიელი მიმომხილველის აზრით, ამას კაცი ასე თუ ისე კიდევ აიტანდა), არამედ მაროკოსთანაც. ეს მეტისმეტი იყო.



იმის გასაგებად, თუ რა მოხდა ციურიხში და რატომ განიცადა ბრაზილიამ ასეთი კატასტროფული მარცხი, სულ ცოტა 30 წლის წინანდელი ამბები უნდა გავიხსენოთ, უფრო სწორად, პერიოდი, როცა თანამედროვე ფეხბურთის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო. 1958 წლის 29 ივნისს სტოკჰოლმში ყველა ფეხბურთელისთვის სანუკვარი ჯილდო — ჟიულ რიმეს თასი ბრაზილიის დიდმა გუნდმა ჩაიბარა. ამის შემდეგ კარგა ხნის მანძილზე პელეს, გარინჩას, ვავასა და დიდის ლეგენდად ქცეული გუნდი მთელ სამყაროს კლასიკური ფეხბურთის ბრწყინვალე, დაუვიწყარი ნიმუშებით ხიბლავდა. მაგრამ დადგა 70-იანი წლები და ბრაზილიური ფეხბურთის აწყობილ მექანიზმში ბზარი გაჩნდა, რაღაც მოიშალა.

80-იანის დასაწყისის ვარსკვლავებმა (სოკრატესმა, ფალკაომ, ტონინიო სერეზომ და 34 წელს მიღწეულმა ზიკომ) მდგომარეობა თითქოს გამოასწორეს, მაგრამ სინამდვილეში ეს იმედების ბოლო გაელვება გახლდათ ახალი, უფრო დიდი კრიზისის წინ, რასაც მოჰყვა რამდენიმე უცნაური მარცხი უმაღლესი რანგის ტურნირებში. ბრაზილიას უკვე აღარავინ თვლიდა მოდების კანონმდებლად, ფავორიტად, რაც ყველაზე მძიმე იყო — საფეხბურთო ქვეყნად. თითქოს არც ყოფილა ოდესმე სიხარული, ისე ერთბაშად დაკარგა ბრაზილიამ ყველაფერი, ფეხბურთის სიყვარულის გარდა.

იქაური სპეციალისტები ამ დიდ დეპრესიას სხვადასხვაგვარად ხსნიან. სპეციალურად გამოვყავით ორი ავტორიტეტის აზრი, რომლებსაც აქ შემოკლებით გაგაცნობთ. ერთი ამ ავტორიტეტთაგანი გახლავთ ცნობილი ბრაზილიელი ჟურნალისტი და ერთ დროს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ჟოაო სალდანია, მეორე — 1970 წლის გუნდის კაპიტანი, ლეგენდარული კარლოს ალბერტო ტორესი.

**სალდანია:** „ეკონომიკური კრიზისი, რომელიც მთელ ბრაზილიას მოედო, ფეხბურთსაც შეეხო. იგი დღემდე განუკურნელი სენით დასნეულდა. თამაში ულაზათო და უინტერესო გახდა. დაცარიელდა ტრიბუნები. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ ამა თუ იმ შეხვედრის შედეგს... სასამართლო პროცესი წყვეტდა. ფეხბურთის კონფედერაცია ქაოსურ, უმართავ ორგანიზაციად იქცა. ასეთ პირობებში ბრაზილიის კანდიდატურის წამოყენება მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორ ქვეყნად მხოლოდ დანაშაული იყო. ციურიხში ჩვენი დამარცხებამ [illegible]ნია. [illegible] სამარცხვინო იქნებოდა კოლუმბიელთა დღეში აღმოვჩენილიყავით — ჯერ მიგვეღო ჩემპიონატის ჩატარების უფლება და მერე, უუნარობის გამო, ამ უფლებაზე უარი გვეთქვა".

**კარლოს ალბერტო:** „საკუთარ თავზე შეყვარებულ ფეხბურთის კონფედერაციას, რომელსაც არც პრაქტიკული ჭკუა აღმოაჩნდა და არც სიტუაციის შეფასების უნარი, მოუვიდა ის, რაც უნდა მოსვლოდა. შექმნილი ვითარების გამო ციურიხში ამერიკის შეერთებულ შტატებს გარკვეული უპირატესობა უნდა ჰქონოდა და კიდევ კარგი, საღმა აზრმა გაიმარჯვა. ნუ დაუჯერებთ იმას, ვინც აცხადებს, მსოფლიო ჩემპიონატი ამერიკელ მაყურებელს არ დააინტერესებსო. მტკნარი სიცრუეა. თვითონ ვთამაშობდი რამდენიმე წლის მანძილზე ამ ქვეყანაში ფეხბურთს და კარგად ვიცი, რა მოსწონს და რა არ მოსწონს ამერიკელ მაყურებელს. რაც შეეხება ჩემპიონატის ორგანიზაციას, ეს ნუ დაგაფიქრებთ. ამერიკელები მსოფლიო ფეხბურთის ფორუმს უმასპინძლებენ ისე, როგორც ვერც ერთი სხვა ქვეყანა".

წილისყრის წინ ფიფა-ს სახელზე გაგზავნილ მემორანდუმში ამერიკელები წერდნენ: „ჩვენს განკარგულებაშია 18 სტადიონი (ნაცვლად თორმეტისა), რომლებიც უახლოეს მომავალში საერთაშორისო ფედერაციის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს. ზოგ მათგანს მცირე რეკონსტრუქცია მართლაც სჭირდება (ხელოვნური საფარის შეცვლა ბუნებრივით, მოედნის გამოყოფა ტრიბუნებისაგან), მაგრამ ეს მხოლოდ დროის ამბავია. ექვსი წინასწარი ჯგუფის თამაშების ჩატარებას ვვარაუდობთ ფლორიდაში (სამხრეთ-აღმოსავლეთი ჯგუფი), ფილადელფიასა და ვაშინგტონში (ჩრდილო-აღმოსავლეთი), ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ სტადიონზე და ლას-ვეგასში (სამხრეთ-დასავლეთი), სიეტლსა და კორვალისში (ჩრდილო-დასავლეთი), დალასსა (სამხრეთი) და ჩიკაგოში (ჩრდილოეთი), ფინალური მატჩისათვის შერჩეული გვაქვს სამი ქალაქი: მაიამი, პასადენი (გიგანტური სტადიონი „როუზ ბოული") და კანზას-სიტი".

მაშ ასე, მსოფლიოს მეთხუთმეტე ჩემპიონატს შეერთებული შტატები უმასპინძლებს. არაამერიკული ფეხბურთი ამერიკელთა მორიგ გატაცებად იქცა. დადგა საორგანიზაციო საქმიანობის დრო, რომლის შესახებაც აშშ-ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვერნერ ფრიკერი ამბობს: „დიდი მუშაობა მოგველის, მაგრამ სიხარულს, რომელიც გველის, არაფერი შეედრება. მზადების პროცესში უსათუოდ გამოვიყენებთ საზღვარგარეთის ექსპერტთა გამოცდილებას. არ გვაეჭვებს, რომ ამერიკელები მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაციას ღირსეულად გაართმევენ თავს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის საქმე იქნება".

**ნოდარ გუგუშვილი.**

## ფეხბურთის გულშემატკივრებს!




ფეხბურთის მოყვარულთ კარგი საჩუქარი მოუმზადა თბილისის „დინამოს" გულშემატკივართა კლუბმა — გამოსცა ევროპის VIII ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის — საბჭოთა კავშირის ნაკრების ფერადი პლაკატი-კალენდარი (1989 წლისათვის). მისი ავტორია ვაჟა ქუნთელია, მხატვარი — ვიქტორ ალიუშინი. გამოცემის ტირაჟია 30 ათასი, ფასი 45 კაპიკი.

**რედაქციისაგან: ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბის თაოსნობა, ცხადია, მოსაწონია. მაგრამ ჩვენი გულშემატკივრები ვერ მოიწონებენ იმას, რომ ეს პლაკატი-კალენდარი ქართულ ენაზე არ დაისტამბა. რატომ?**

## „დნეპრი" — ფინალში

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს ატარებს მაროკოს ქალაქ რაბათში, სადაც მიმდინარეობს ტრადიციული ტურნირი მაროკოს დამოუკიდებლობის დღესასწაულის აღსანიშნავად. საბჭოთა ფეხბურთელებმა ნახევარფინალში კასაბლანკას გუნდს სძლიეს ანგარიშით 3:2 და ფინალში გავიდნენ.

## საუდის არაბეთი — ინგლისი 1:1

საუდის არაბეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა ერ-რიადში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა ინგლისის ნაკრებთან და ფრეს მიაღწია — 1:1. პირველ ტაიმში ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა, შესვენების შემდეგ კი ინგლისელებმა შეძლეს თანაფარდობის აღდგენა.

ინგლისელები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ემზადებიან, მწვრთნელმა ბობი რობსონმა საუდის არაბეთის გუნდთან შეხვედრაშიც საუკეთესო შემადგენლობა გამოიყვანა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა.

შეიქმნა ახალი ფედერაცია

# ბილიარდის აღიარება

**19 ნოემბერი** ჩვენს ქვეყანაში ბილიარდის ხელახალი დაბადების თარიღად შეიძლება ჩავთვალოთ. ამ დღეს მოსკოვში შეიქმნა და მუშაობას შეუდგა ახალი სპორტული ფედერაცია. პირველ ხანებში მოსკოვის ორგანიზაცია გააერთიანებს ამ საინტერესო თამაშის ორმოც მოყვარულს.

თავდაპირველად კულტივირებული იქნება ბილიარდის სახეობა, რომელსაც ძველთაგანვე „მოსკოვურ პირამიდას" უწოდებდნენ. რატომ ძველთაგანვე, იკითხავს ალბათ გაკვირვებული მკითხველი, როცა ამ თამაშის დაბადების თარიღად 19 ნოემბერს მივიჩნევთ? საქმე ის გახლავთ, რომ ბილიარდის თამაშის ეს სახეობა, ფაქტიურად, რუსეთში შეიქმნა და აქედან გავრცელდა დასავლეთის ქვეყნებში, კერძოდ ბელგიაში, შვეციაში, დანიასა და გფრ-ში.

საზღვარგარეთ დიდი ხანია ტარდება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, ამხანაგური საერთაშორისო შეჯიბრებები, ჩვენში კი ბილიარდი რატომღაც იმთავითვე მავნე და არასერიოზულ თამაშად გამოცხადდა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სპორტთან. არადა, დასავლეთის ოსტატები დიდხანს ეძებდნენ კონტაქტებს საბჭოთა მოთამაშეებთან, ცდილობდნენ მათი გამოცდილების გადაღებას, მაგრამ ამაოდ. „ორგანიზებული ბილიარდი" ჩვენში არ არსებობდა.

წელს, ივლისში მოსკოვში მოეწყო ამ თამაშის მოყვარულთა პირველი არაოფიციალური შეჯიბრება, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. რაც მთავარია გაირკვა, რომ ბილიარდს ბევრი მიმდევარი ჰყავს ჩვენს ქვეყანაში და მას ხალისით ეტანებიან სხვადასხვა ასაკის ადამიანები.

ბილიარდი პოპულარული გართობა იყო საქართველოშიც. 50-იან წლებში თბილისში საინტერესო ტურნირები იმართებოდა ადგილობრივ და მოწვეულ ოსტატთა მონაწილეობით. ჩვენ გვყავდა ბევრი ძლიერი ბილიარდისტი, რომლებიც ღირსეულ მეტოქეობას უწევდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლებს. ასე რომ, ჩვენს ქალაქში ყველა პირობა არსებობს (დიახ ახლა უკვე, სპორტის) ამ ახალი სახეობის აღსადგენად, მისი შემდგომი გავრცელებისა და პოპულარიზაციისთვის.

## ოთარ ელიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი მძლეოსნობაში, შრომის ვეტერანი ოთარ გიორგის ძე ელიაშვილი.

დაიბადა 1925 წელს ბათუმში. მოწაფეობის წლებში ჩაირიცხა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ბავშვთა მძლეოსნურ სპორტსკოლაში. სპორტული საქმიანობა დაუკავშირა საზოგადოება „შრომით რეზერვებს" და მოსკოვში დაამთავრა ამავე სპორტსაზოგადოების ფიზკულტურის ტექნიკუმი, იყო „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს უფროსი მწვრთნელი, შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლის, აგრეთვე თბილისის სახალხო განათლების განყოფილებისა და პროფკავშირების მძლეოსნობის თბილისის სპორტკომიტეტის უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლებში მუშაობის წლები.

როგორც მწვრთნელი ფიზიკურ მომზადებაში ო. ელიაშვილი განსაკუთრებით ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა და კალათბურთელთა გუნდებში, ეხმარებოდა აგრეთვე ცნობილ ჩოგბურთელებს ალექსანდრე მეტრეველსა და თეიმურაზ კაკულიას.

კვალიფიციური მწვრთნელისა და გულისხმიერი აღმზრდელის ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მოწაფეებისა და მეგობრების ხსოვნაში.

რესპუბლიკის მძლეოსნობის ფედერაცია.

### კვირიდან კვირამდე

„პრავდა" — 14 ნოემბერი. „ვინ აგებს პასუხს ჯანმრთელთა ჯანმრთელობაზე". წერილი იბეჭდება რუბრიკით „ფიზკულტურა ყველასათვის".

„კომსომოლსკაია პრავდა" — 17 ნოემბერი. რა იქნა ქალაქ ლვოვის ერთ დროს ცნობილი გუნდი „კარპატი"? როგორ გადაიქცა იგი არმიის გუნდად? ამაზეა საუბარი წერილში „მინდორი ბრძოლის გარეშე".

18 ნოემბერი. „სვლა მხედრით..." ბარნაულში, პიონერთა სასახლეების ნორჩ მოჭადრაკეთა საკავშირო შესარჩევ ტურნირში, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ზონაში რატომღაც აღმოჩნდა მოსკოვის გუნდი, რომელსაც, ამასთან, წინასწარი შესარჩევი ტურნირიც არ გაუვლია.

19 ნოემბერი. „ფეხბურთი და მისი რელსები". 1988 წლის ჩემპიონატის პირველ შედეგებზე და საერთოდ, ფეხბურთის პრობლემებზე გვესაუბრება მოსკოვის „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი იური სიომინი.

„ტრუდი" — 19 ნოემბერი. „ფანატები". მუშტი-კრივი კაფეებსა და ქუჩებში, 35 დაკავებული, ოთხი დაჭრილი — ასე დამთავრდა ვილნიუსში მატჩი ადგილობრივ „ჟალგირისსა" და „სპარტაკს" შორის. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ერთეული შემთხვევა არ გახლავთ.

„სოვეტსკი სპორტი" — 13 ნოემბერი. „არ მიყვარს ღმერთს რომ მეძახიან". ინტერვიუ ცნობილ ჰოლანდიელ ფეხბურთელ რუუდ გულიტთან.

18 ნოემბერი. „უფლებები და გარანტიები". მოსკოვში მუშაობას აგრძელებს იუნესკოს საერთაშორისო კომიტეტის მეექვსე სესია ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში.

### ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 20 ნოემბერი. რიტმული ტანვარჯიში — **9.15 (1)**; „სპორტლოტოს" ტირაჟი — **10.20 (1)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **23.10 (1)**; ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი ბურთიან ჰოკეიში: „ენისეი" (კრასნოიარსკი) — „ბოლტიკი" (შვეცია) — **0.05 (2)**.

21 ნოემბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **9.35 (1)** და **20.15 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია.** 20 ნოემბერი. საფეხბურთო მიმოხილვა — **23.10.**

**საქართველოს რადიო.** 20 ნოემბერი. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი" — **14.30.**

## ახალი ნახევარფინალები



**ნიუ-იორკი.** დასასრულს უახლოვდება პროფესიონალ ჩოგბურთელ ქალთა მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი, რომელსაც მეურვეობს „ვირჯინია სლიმზის" ცნობილი ფირმა.

წყვილთა ტურნირში საბჭოთა დუეტმა ნატალია ზვერევასა და ლარისა სავჩენკოს შემადგენლობით ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა მას შემდეგ, რაც მეოთხედფინალში აშშ-ს ღია ჩემპიონატში გამარჯვებულები ჯიჯი ფერნანდესი და რობინ უაიტი დაამარცხა. ახლა მათი მეტოქე იქნებიან უიმბლდონის ტურნირის შარშანდელი ჩემპიონები სუკოვა (ჩეხოსლოვაკია) და კოდე-კილში (გფრ). მეორე ნახევარფინალში ითამაშებენ ამერიკელები ნავრატილოვა-შრაივერი და გრაფი (გფრ) — საბატინი (არგენტინა).

ერთეულთა ტურნირის ნახევარფინალში გავიდნენ უიმბლდონის ჩემპიონი გრაფი (დაამარცხა ბულგარელი მ. მალეევა — 6:1, 6:3) და შრაივერი (დაამარცხა თანამემამულე ევერტი — 7:5, 6:4).

## შეტევა მთელი ფრონტით

**ძალოსნობის** საერთაშორისო ფედერაციის (ივფ) კონგრესზე, რომელიც უნგრეთის დედაქალაქში ჩატარდა, დოპინგის საწინააღმდეგო კონტროლის გაძლიერების საკითხების განხილვისას საკმაოდ მკაცრი და კონკრეტული გადაწყვეტილებები მიიღეს. კონგრესმა აღნიშნა, რომ ეს მავნე პრაქტიკა განსაკუთრებით დაინერგა ბოლო წლებში და სეულში აღმაშფოთებელი ფორმები მიიღო. სწორედ ამის გამო კონგრესის ზოგიერთმა მონაწილემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ძალოსნობა საერთოდ არ ჩატარდეს ოლიმპიურ თამაშებზე.

საერთაშორისო ფედერაციას გადაწყვეტილი აქვს გაისიდან სავალდებულო ანტისადოპინგო ტესტების შემოღება საერთაშორისო ფედერაციაში გაერთიანებულ ქვეყნებში. ამ ტესტებს ჩაუტარებენ საერთაშორისო ტურნირებში პირველიოთხ ადგილზე გასულ და აგრეთვე სამ ძალოსანს ამორჩევით. კონგრესის გადაწყვეტილებით მტკიცე კონტროლი დაწესდება მსოფლიო რეკორდების დამტკიცების პროცედურაზეც.

ანტისადოპინგო ტესტების ჩაბარებაზე უარის თქმა უმკაცრეს სანქციებს გულისხმობს. პირველსავე შემთხვევაში ასეთი სპორტსმენი დისკვალიფიცირებული იქნება 2 წლით. დოპინგის ყიდვისა და გასაღებისთვის ძალოსანი 4 წლით ისჯება, ხოლო ეროვნულ ფედერაციას დიდი ფულადი ჯარიმის გადახდა მოუწევს.

აღნიშნულ საკითხზე პრინციპული სჯა-ბაასი იყო აშშ-ს სენატშიც. დემოკრატი სენატორის ჩარლზ რენჯელის აზრით დამნაშავე უნდა დაისაჯოს მაშინვე, როგორც კი სპეციალური კომისია მის ორგანიზმში სტიმულატორების კვალს აღმოაჩენს. შემდგომ კამათსა და დისკუსიებს აზრი არა აქვს. გადაწყვეტილება უნდა იყოს უმკაცრესი — სპორტსმენის სამუდამო დისკვალიფიკაცია. რენჯელმა ამის თაობაზე სპეციალური წერილი გაუგზავნა პროფესიონალური ფეხბურთის, ბეისბოლის, კალათბურთისა და ჰოკეის ხელმძღვანელებს.

ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა რესპუბლიკელმა სენატორმა ბენჯამინ გილმანმაც:

— ჩვენ უსათუოდ წავაგებთ დოპინგის წინააღმდეგ ომს, თუ ლმობიერებასა და დიდსულოვნებას გამოვიჩენთ. სპორტი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავწმინდოთ ანაბოლიური საშუალებებისაგან.

ბეისბოლის ლიგის თავმჯდომარემ რიკ ლევინმა განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია გულმოდგინედ სწავლობს რენჯელის წერილს და ბევრ პუნქტში ეთანხმება მასში გამოთქმულ მოსაზრებებს.

ამასობაში კანადის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა მინისტრის ჟან შარერის ინიციატივით ტორონტოში მთავრობის სპეციალურმა კომისიამ დაიწყო ბენ ჯონსონის საქმის გამოკვლევა. იგი ამავე დროს შეისწავლის ამ მიმართებით კანადის სპორტის მდგომარეობას საერთოდ.

როგორც ცნობილია, კანადის სპორტულმა ორგანიზაციებმა ბენ ჯონსონის საქციელს მკაცრი შეფასება მისცეს. სპორტსმენს ორი წლის განმავლობაში აეკრძალა სამოყვარულო შეჯიბრებებში მონაწილეობა, დისკვალიფიცირებულია მისი მწვრთნელი ჩარლზ ფრენსისიც.

სახელმწიფო კომისია სულ მალე დაამთავრებს მუშაობას.

### „სპორტპროგნოზი", 48-ე ტირაჟის პროგრამა (26-27 ნოემბერი)

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 1. „ლოკომოტივი" (ირკუტსკი) — „იუნოსტი" (ომსკი) | 26.XI | 50 | 10 | 40 |
| 2. „კუზბასი" (კემეროვო) — ასკ (ხაბაროვსკი) | 26.XI | 10 | 20 | 70 |
| 3. „სტროიტელი" (სიქტივკარი) — „ზორკი" (კრასნოგორსკი) | 27.XI | 30 | 10 | 60 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 4. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი) | 27.XI | 80 | 10 | 10 |
| 5. „ტორპედო" (იაროსლავლი) — „ავტომობილისტი" (სვერდლოვსკი) | 27.XI | 30 | 20 | 50 |
| 6. „დინამო" (მინსკი) — „დინამო" (ხარკოვი) | 27.XI | 40 | 50 | 10 |
| 7. „სოკოლი" (კიევი) — „დინამო" (მოსკოვი) | 27.XI | 10 | 20 | 70 |
| 8. ასკ (ლენინგრადი) — „ხიმიკი" (ვოსკრესენსკი) | 27.XI | 40 | 40 | 20 |
| 9. „დინამო" (რიგა) — ცსკა | 27.XI | 10 | 20 | 70 |
| **ინგლისის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 10. „ვესტ ჰემი" — „ევერტონი" | 26.XI | 20 | 70 | 10 |
| **გფრ-ის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 11. „ბორუსია" (მიონხენგლადბახი) — „შტუტგარტი" | 26.XI | 60 | 10 | 30 |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 12. „ნაპოლი" — „მილანი" | 27.XI | 30 | 50 | 20 |
| **ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 13. „რეალი" (სან-სებასტიანი) — „ატლეტიკო" (მადრიდი) | 27.XI | 40 | 10 | 50 |

## ლატარეა „სპორტპროგნოზის" მოყვარულთა საყურადღებოდ!

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ, მოთამაშეთა მრავალრიცხოვან მოთხოვნათა გათვალისწინებით, განაახლა ლატარია „სპორტპროგნოზის" ექვსვარიანტიანი ბილეთების (ფასი 1 მან. 82 კაპ.) გაყიდვა.

ამჟამად სამვარიანტიან ბილეთებთან (ფასი 92 კაპ.) და სხვა სახის სპორტულ ლატარიებთან ერთად შეიძლება ამ ბილეთების შეძენაც.

ექვსვარიანტიანი ბილეთების შევსება ხდება შემდეგნაირად: პირველი გუნდის (მასპინძლის) გამარჯვება აღინიშნება ციფრით „1", მეორე გუნდის (სტუმრის) გამარჯვება აღინიშნება ციფრით „2", ფრე აღინიშნება ნიშნით „X".

სამვარიანტიან ბილეთებში, „სპორტლოტოს" ბილეთების მსგავსად, აღნიშვნა ხდება ნიშნით „X". თუ უპირატესობა ენიჭება პირველ გუნდს (მასპინძელს) ნიშანი იწერება პირველ კოლონაში, რომელიც ზემოდან აღნიშნულია ციფრით „1". ფრეს შემთხვევაში ნიშანი იწერება მეორე კოლონაში, რომელიც ზემოდან აღნიშნულია ციფრით „0". თუ უპირატესობა ენიჭება მეორე გუნდს (სტუმარს), ნიშანი იწერება მესამე კოლონაში, რომელიც ზემოდან აღნიშნულია ციფრით „2".

ბილეთების შევსების დაწვრილებითი წესი განმარტებულია მის მეორე მხარეზე.

სანამ ბილეთების შევსებას დაიწყებდეთ, აუცილებლად გაეცანით თამაშის პირობებს.

შეგახსენებთ, რომ ლატარია „სპორტპროგნოზში" ერთი ბილეთის ერთ ვარიანტში, ან რამოდენიმე ვარიანტის ჯამში 10000 მანეთის მოგების მფლობელს უფლება ეძლევა რიგგარეშე შეიძინოს ავტომანქანა „ჟიგული ვაზ 2107".

სპორტული ლატარიების რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობას იღებენ ის პირები ვისი მოგებაც 10000 მანეთზე ნაკლებია. მაგრამ არანაკლებ „ჟიგულის" მარკის ავტომანქანის ღირებულებისა.

„სპორტპროგნოზის" ბილეთების „ბვ" ნაწილების მიღებისა და „სპორტლოტოს" ყუთებში ჩაშვების კონკრეტული ვადები მითითებულია ბილეთების რეალიზაციის ადგილებში და „სპორტლოტოს" ყუთებზე.

გიწვევთ ლატარია „სპორტპროგნოზში" მონაწილეობის მისაღებად.

გისურვებთ წარმატებას!

საქსპორტლოტო.

## პროფესიული ჰოკეის ამბები

⊙ **„ლოს-ანჯელეს კინგზის"** ჰოკეისტებმა ნჰლ-ს ჩემპიონატის მორიგ მატჩში დაამარცხეს „ვანკუვერ კენაკსი" (6:4), დააგროვეს 24 ქულა და ქვეჯგუფში მეორე ადგილზე გადაინაცვლეს. „ლოს-ანჯელესმა" მეხუთე მატჩი მოიგო ზედიზედ და ახლა ლიდერს — „კალგარი ფლეიმზს" 3 ქულით ჩამორჩება. სხვა ჯგუფებში დაწინაურებული არიან: „ნიუ-იორკ რეინჯერსი" (21 ქულა), „ბოსტონ ბრიუინზი" (23) და „დეტროიტ რედ უინგზი" (20).

⊙ **ცნობილი** კანადელი პროფესიონალი მარიო ლემიე, რომელმაც შარშან ლიგის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი მოიპოვა და უკან ჩამოიტოვა მეორე სნაიპერი უეინ გრეცკი, აღარ განაახლებს კონტრაქტს თავის კლუბ „პიტსბურგ პინგვინზთან", რომელმაც ლემიეს 20 წლის მანძილზე 20 მილიონი დოლარის გადახდა აღუთქვა, მაგრამ ჰოკეისტი მაინც უარზეა და სხვა კლუბში გადასვლას აპირებს.

⊙ **ნჰლ-ს ლიგის** ყველაზე შედეგიანი გუნდი დღეისთვის უეინ გრეცკის კლუბია — „ლოს-ანჯელეს კინგზი", რომელმაც 18 მატჩში 97 შაიბა გაიტანა. თვით გრეცკის სეზონში უკვე გატანილი აქვს 15 შაიბა და 600-იანთა კლუბში მოსახვედრად მხოლოდ ერთი ზუსტი ტყორცნა აკლია.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

05485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 05606